

# ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ივლისი, 2017

## შეფასების სქემა თეორიული ნაწილი

დავალება	სწორი პასუხი
1	დ
2	ბ
3	ბ
4	ბ
5	ბ
6	ბ
7	ა
8	ბ
9	ბ
10	ბ
11	ბ
12	დ
13	ბ
14	ა

დავალება	სწორი პასუხი
15	ბ
16	ბ
17	ა
18	ბ
19	ა
20	ბ
21	დ
22	ა
23	ბ
24	ბ
25	ა
26	ბ
27	ა
28	ბ

დავალება 29	
მაქსიმალური ქულა - 2	
შეფასების სქემა	
ქულა	აღწერა
2	<p>პასუხი არის სწორი და ამომწურავი:</p> <p>სწორად არის განმარტებული Cache მეხსიერება, მოცემულია მისი დანიშნულება. მოცემულია ქემ-მეხსიერების ეფექტურობის მახასიათებლები. მაგალითად:</p> <p>„Cache მეხსიერება არის ზესწრაფი (ზეოპერატიული) მეხსიერება, რომელშიც ინახება მონაცემები, რომელიც პროცესორს სჭირდება მიმართვების სწრაფად დასამუშავებლად. ქემ-მეხსიერება შესრულებულია სტატიკური SRAM ტიპის ოპერატიული მეხსიერების ბაზაზე. ელექტრონულად ქემის მოვალეობას ტრანზისტორები ასრულებენ, რომლებიც პროცესორის კრისტალშია ჩაშენებული. მისი</p>

	<p>დანიშნულებაა ისეთი მოწყობილობების მუშაობის სიჩქარის შეთანხმება, როგორცაა მიკროპროცესორი და დინამიური მეხსიერება.</p> <p>ქემის მაქსიმალური ეფექტურობა მიიღწევა მაშინ, როდესაც მისი და პროცესორის შემაერთებელი არხის სიხშირე უახლოვდება ტაქტურ სიხშირეს. ამიტომ ქემი ჩაშენებულია პროცესორის კრისტალში და უშუალოდ პროცესორის ტაქტურ სიხშირეზე მუშაობს.</p> <p>პრიორიტეტის მიხედვით ქემი იყოფა სამ დონედ. პირველი დონეში (L1) ინახება ის ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტულ მომენტში იყენებს პროცესორი. მეორე დონეში (L2) ინახება ინფორმაცია, რომელიც ცოტა ხანში დაჭირდება პროცესორს, ხოლო მესამე დონე (L3) აგროვებს და ინახავს ინფორმაციას, რომელსაც გამოიყენებს პროცესორი უახლოეს მომავალში“.</p>
1	<p><b>პასუხი სწორია, მაგრამ არასრული:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სწორად არის განმარტებული Cache მეხსიერება, მაგრამ დანიშნულება გაუგებარია და გამოყენებულია ბუნდოვანი ლექსიკა; ან</li> <li>➤ მოთხოვნის შესაბამისად გამოყენებულია ადეკვატური ლექსიკა, მაგრამ თავად განმარტება არ არის ზუსტი, ამომწურავი და გამართული.</li> </ul>
0	Cache მეხსიერება არასწორადაა განმარტებული.

<b>დავალება 30</b>	
<i>მაქსიმალური ქულა - 2</i>	
<b>შეფასების სქემა</b>	
<b>ქულა</b>	<b>აღწერა</b>
2	<p><b>პასუხი არის სწორი და ამომწურავი:</b></p> <p>სწორად არის განმარტებული დაარქივების პროცესი. მოყვანილია არქივირების პროცესში ორი ან მეტი დამატებითი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა.</p>
1	<p><b>პასუხი სწორია, მაგრამ არასრული:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სწორად არის განმარტებული დაარქივების პროცესი, აღწერილია ერთი დამატებითი ფუნქცია; ან</li> <li>➤ დასახელებულია არქივირების პროცესში ორი ან მეტი დამატებითი ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა - პასუხი სქემატურია და ზედაპირული.</li> </ul>
0	არასწორი/არაადეკვატური პასუხი.

**დავალება 31****მაქსიმალური ქულა - 3****შეფასების სქემა**

ქულა	აღწერა
3	<p><b>პასუხი არის სწორი და ამომწურავი:</b></p> <p>პასუხში მართებულად არის მითითებული სისტემურ პლატაზე ინტეგრირებული მოწყობილობების ტიპები. ამასთან სწორად არის განმარტებული ინტეგრირებული პლატის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.</p> <p>მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოდგენილი ახსნა/განმარტება ადეკვატურია ორივე მითითებისთვის.</p>
2	<p><b>პასუხი სწორია, მაგრამ არასრული:</b> პასუხი გაცემულია ორივე მითითებაზე, მაგრამ აკლია რომელიმე კომპონენტი. მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასახელებულია ინტეგრირებული მოწყობილობები, მოცემულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ წარმოდგენილი პასუხი ზედაპირული და სქემატურია;</li> </ul> <p>ან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასახელებულია ინტეგრირებული სისტემური პლატის მოწყობილობათა ტიპები, მოცემულია მხოლოდ ერთი (დადებითი ან უარყოფითი) ფაქტორი, ახსნილია მხოლოდ ერთი ფაქტორის მნიშვნელობა.</li> </ul>
1	<p><b>პასუხი არის ნაწილობრივ სწორი ან ძალიან სქემატური:</b> მოცემულია ადეკვატური პასუხი მხოლოდ პირველ მითითებაზე - დასახელებულია მხოლოდ ინტეგრირებული მოწყობილობები, მაგრამ არ არის ახსნილი მათი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების მნიშვნელობა (ან მოცემული ახსნა არაფრისმთქმელია და ძალიან ზოგადია.</p>
0	<p>არასწორი/არაადეკვატური პასუხი.</p>